European Bank
for Reconstruction and Development

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობასა

და

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს

შორის

საქართველოს ინვესტორთა საბჭოს
ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობის შესახებ

2015 წლის 12 აპრილი

ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) ფორმდება საქართველოს მთავრობასა (შემდგომში „მთავრობა“) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (შემდგომში „ევრობანკს“) შორის (შემდგომში ცალკეულად „მხარე“, ხოლო ჯგუფურად „მხარეები“) შემდეგზე:

ვინაიდან ევრობანკმა შეიმუშავა ეკონომიკური ტრანსფორმაციის ადრეულ ეტაპზე მყოფი ქვეყნების დახმარების ინიციატივა (შემდგომში „ეკონომიკური ტრანსფორმაციის ადრეულ ეტაპზე მყოფი ქვეყნების დახმარების ინიციატივა“), მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ინიციატივა (შემდგომში „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ინიციატივა“) და საინვესტიციო კლიმატისა და მმართველობის ინიციატივა (შემდგომში „საინვესტიციო კლიმატისა და მმართველობის ინიციატივა“) რათა ხელი შეუწყოს წევრი ქვეყნების - მათ შორის საქართველოს - ეკონომიკურ გარდაქმნას, მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერას, საინვესტიციო კლიმატისა და მმართველობის გაუმჯობესებას. ყოველივე ეს განხორციელდება დონორთა დაფინანსებით - სპეციალური ორმხრივი და მულტი-დონორული ფონდების მეშვეობით.

ვინაიდან ეკონომიკური ტრანსფორმაციის ადრეულ ეტაპზე მყოფი ქვეყნების დახმარების, მცირე ბიზნესის მხარდაჭერისა და საინვესტიციო კლიმატისა და მმართველობის ინიციატივების ფარგლებში ევრობანკს შემუშავებული აქვს პროგრამა ეროვნული საკონსულტაციო საბჭოებისთვის, რაც მიზნად ისახავს პოლიტიკის საკითხებზე დიალოგის გაძლიერებას კერძო სექტორსა და მთავრობებს შორის საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად,

ვინაიდან მთავრობამ საქართველოს ინვესტორთა საბჭო (შემდგომში „ინვესტორთა საბჭო“) ჩამოაყალიბა, რომლის კონცეფციაც ასახულია წინამდებარე მემორანდუმის მესამე ნაწილში,

ვინაიდან მთავრობამ ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო - 2020“ დაამტკიცა, ევროპის კავშირთან ხელი მოაწერა და დაამტკიცა ასოცირების შეთანხმება (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“) ღრმა და ყოვლისმომცველი, თავისუფალი ვაჭრობის სივრცის განუყოფელი ნაწილის (შემდგომში „ღრმა და ყოვლისმომცველი, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება“) ჩათვლით,

ვინაიდან ევრობანკი მოქმედებს ორმხრივი და მულტი-დონორული ფონდების ადმინისტრატორად, მან თანხმობა გამოთქვა დააფინანსოს ინვესტორთა საბჭოს დამოუკიდებელი სამდივნო.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

I. მიზანი

წინამდებარე მემორანდუმი მიზნად ისახავს ევრობანკსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ჩარჩო სტრუქტურის ჩამოყალიბებას ინვესტორთა საბჭოს მხარდასაჭერად. ყოველივე ეს ემსახურება ქვეყნის კერძო სექტორის განვითარებას

და ზოგადად ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას საქართველოში, რაც ასახული იქნება მხარეებს შორის შეთანხმებულ ინვესტორთა საბჭოს კონცეფციაში.

II. თანამშრომლობა

1. მთავრობის როლი

საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობა აპირებს შემდეგს:

- გამოავლინოს სფეროები, სადაც მთავრობის ქმედებამ და ევრობანკის დახმარებამ შეიძლება შედეგად იქონიოს ქვეყნის ბიზნეს კლიმატის და კერძო სექტორის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება,

- მონაწილეობა მიიღოს ინვესტორთა საბჭოს საქმიანობაში და როდესაც საჭიროდ ჩათვლის განახორციელოს ბიზნეს წრეების მიერ შემოთავაზებული და ინვესტორთა საბჭოს სხდომებზე განხილული ზომები,

- ითანამშრომლოს ევრობანკთან და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან კანონმდებლობის, პრაქტიკისა და სხვა შესაბამისი სფეროების გაუმჯობესების შესაძლო გზების ერთობლივ ანალიზსა და განსაზღვრაში, რათა გაძლიერდეს უცხოური და ადგილობრივი კაპიტალდაბანდება საქართველოს ეკონომიკაში.

- იმის გათვალისწინებით, რომ ინვესტორთა საბჭო ჩამოყალიბდა საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებით, მიიღოს საჭირო ზომები სამდივნოს შესაქმნელად და მინიმუმ ორი წლის ვადით გამოყოს მისთვის ადეკვატური საოფისე ფართი (უშუალოდ საოფისე ფართის უზრუნველყოფით ან ფულადი შენატანის მეშვეობით). თუკი გამოყოფს უშუალოდ საოფისე სივრცეს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ შენობაში, დაფაროს ელექტრო და წყალმომარაგების კომუნალური გადასახადები.

ევრობანკის როლი

- ევრობანკი აპირებს შემდეგს საქართველოსთვის განსაზღვრული სტრატეგიის შესაბამისად, რომელიც დროდადრო შეიძლება განახლდეს დირექტორთა საბჭოს მიერ, იევრობანკის სხვა შიდა წესებისა და პროცედურების თანახმად:

- მხარი დაუჭიროს მთავრობას ქვეყნის განვითარების სტრატეგიის და ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელებაში, ისევე როგორც ინვესტიციების ზრდისკენ, კერძო სექტორისა და ზოგადად ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევის სფეროში,

- მონაწილეობა მიიღოს ინვესტორთა საბჭოს საქმიანობაში, სამდივნოს

მუშაობის მონიტორინგსა და ზედამხედველობაში,

- მჭიდროდ ითანამშრომლოს მთავრობასთან იმ სფეროების განსაზღვრაში, სადაც ევრობანკს შეუძლია საკუთარი გამოცდილებისა და ექსპერტული ცოდნის გამოყენება მთავრობის ძალისხმევის მხარდასაჭერად ქვეყნის კერძო სექტორისა და ზოგადად ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების სტიმულირების მიზნით.

- დაფაროს სამდივნოს ექსპლუატაციის, ხარჯების, თანამშრომელთა ხელფასებისა და სხვა საჭიროებების თანხები მინიმუმ 2 წლის განმავლობაში.

- მინიმუმ ორი წლის განმავლობაში დაფაროს ელექტრო და წყალმომარაგების კომუნალური გადასახადები იმ შემთხვევაში, თუკი საოფისე ფართი არ მდებარეობს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ შენობაში.

III. ინვესტორთა საბჭოს კონცეფცია

1. მანდატი

ინვესტორთა საბჭოს მანდატი განსაზღვრულია მთავრობის დადგენილებაში ----------.

ინვესტორთა საბჭო ჩამოყალიბებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრთან როგორც ბიზნეს წრეების წარმომადგენლებსა და მთავრობას შორის დიალოგის პლატფორმა, რათა ხელსაყრელი, დისკრიმინაციისგან თავისუფალი, გამჭვირვალე და კონსტრუქციული გარემო კიდევ უფრო განვითარდეს.

ინვესტორთა საბჭოს სამუშაო ენებია ქართული და ინგლისური.

2. ძირითადი ფუნქციები

ინვესტორთა საბჭო ჩამოყალიბებულია მთავრობის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და ბიზნეს წრეების მაღალი დონის დიალოგის ინკლუზიური პლატფორმის სახით შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- კონსტრუქციული დიალოგის წახალისებისა და კონსენსუსის მისაღწევად მთავრობასა და კერძო სექტორს შორის, რათა ყველაზე აქტუალური საკითხები იქნეს გადაჭრილი კერძო სექტორისა და ზოგადად ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისთვის, ადგილობრივი და უცხოური საინვესტიციო პოზიციის გაძლიერებისთვის,

- ბიზნეს გარემოს ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორების გამოსავლენად ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, ასევე ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს მაქსიმალური ეფექტიანობისა და გავლენის მისაღწევად განსახორციელებელი ინტერვენციების შესათავაზებლად,

- საკანონმდებლო ან მარეგულირებელ სისტემებში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტის განხილვა ზემოთხსენებული საკითხების მოსაგვარებლად,

- სხვა ქვეყნების გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება მარეგულირებელი სისტემის რეფორმის ხელშეწყობის პროცესში ინვესტორთა საბჭოს მიზნების მისაღწევად.

თავად ინვესტორთა საბჭოს არ გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, თუმცა დებატებისა და ინვესტორთა საბჭოს წევრების წინადადებების საფუძველზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს.

ინვესტორთა საბჭო არ გულისხმობს ნებისმიერი სხვა უწყების, სამინისტროს ან ეკონომიკური საბჭოს საქმიანობის ჩანაცვლებას, თუმცა ის შექმნილია ბიზნეს გარემოზე დიალოგის, კოორდინაციისა და სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტიზაციის პლატფორმად და საკუთარი ეფექტიანობის ანალიზის განსახორციელებლად.

3. წევრები

ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

ინვესტორთა საბჭო მაქსიმუმ 15 წევრისგან შედგება და აერთიანებს დაინტერესებული მხარეების (მონაწილეების) რამდენიმე ჯგუფს.

მუდმივი წევრები:

- *მინისტრები:*
  - *ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი,*
  - *ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი,*
  - *ფინანსთა მინისტრი,*
  - *სოფლის მეურნეობის მინისტრი,*
  - *რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.*

- *ადგილობრივი და უცხოური ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები:*
  - *საქართველოს ბიზნეს ასოციაცია,*
  - *ამერიკის სავაჭრო პალატა,*
  - *ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო,*
  - *საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატა,*
  - *საერთაშორისო სავაჭრო პალატა.*

- *საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენი,*

- *ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.*

როტაციის პრინციპით ცვალებადი წევრები:

- კერძო სექტორის განვითარებაზე მომუშავე საერთაშორისო საფინანსო დაწესებულების ორი წარმომადგენელი.

ინვესტორთა საბჭოს ნომინალურ შემადგენლობაში ცვლილებებს ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევრობანკის წარდგინებით და ინვესტორთა საბჭოს მუდმივმოქმედი წევრებთან კონსულტაციების საფუძველზე.

მუდმივმოქმედი წევრების გარდა, ინვესტორთა საბჭოს სხდომების დღის წესრიგის და განსახილველი საკითხების/სექტორების მიხედვით მინისტრების, ექსპერტების, სექტორთან ასოცირებული პირების, სახელმწიფოს სპეციალიზირებული უწყებების, ბიზნეს წრეების წარმომადგენლებისა და სხვათა მოწვევა შესაძლებელია ინვესტორთა საბჭოს კონკრეტულ დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად.

4. სამდივნო

ინვესტორთა საბჭოს ყოველდღიური საქმიანობის კოორდინაციას ახდენს მისი სამდივნო, რომლის წევრებიც არ უნდა იყვნენ პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების წევრები.

ინვესტორთა საბჭოს სამდივნო:

- წევრების წინადადებების, ასევე მთავრობის პრიორიტეტების საფუძველზე, ადგენს ინვესტორთა საბჭოს სხდომების დღის წესრიგს (და წარუდგენს მას ქვეყნის პრემიერ-მინისტრს),

- ახდენს ინვესტორთა საბჭოს ყოველდღიური საქმიანობის კოორდინაციას; ამზადებს შეხვედრებს და სადისკუსიო წინადადებებს; კონსულტაციებს გადის ბიზნეს წრეებთან; ორგანიზებას უწევს ტექნიკური სახის კადრების გადამზადებას,

- ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და ინვესტორთა საბჭოს წევრებს აწვდის უშუალოდ ინვესტორთა საბჭოს სხდომების დღის წესრიგში მითითებული საკითხების შესახებ გამოთქმული მოსაზრებებისა და წინადადებების შეჯამებას, რათა ინვესტორთა საბჭოს მიერ მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებების მიღება იქნეს უზრუნველყოფილი,

- უძღვება ინვესტორთა საბჭოს გადაწყვეტილებების განხორციელების პროცესს; აწარმოებს შედეგებზე მეთვალყურეობას და შეფასებას; ახდენს ბიზნეს გარემოზე მათი გავლენის და ეფექტიანობის შეფასებას.

- მიღწეულ წინსვლაზე ანგარიშვალდებულია ინვესტორთა საბჭოს წევრებისა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრის წინაშე,

- მჭიდრო კომუნიკაცია გააჩნია ინვესტორთა საბჭოს წევრებთან, სახელმწიფო

უწყებებთან და ბიზნეს წრეებთან,

- უზრუნველყოფს ინვესტორთა საბჭოს მუშაობის მდგრადობას და განგრძობადობას,
- მთავრობის პრეს-სამსახურთან თანამშრომლობის გზით ახდენს საზოგადოების ინფორმირებას ინვესტორთა საბჭოს საქმიანობის შესახებ.

5. სხდომების დღის წესრიგი

ინვესტორთა საბჭოს სხდომები სისტემატიურად გაიმართება - წლის განმავლობაში ექვსჯერ, ე.ი. ორ თვეში ერთხელ.

ინვესტორთა საბჭოს ეფექტიანი მუშაობისთვის კრიტიკული მნიშვნელობისაა მისი დღის წესრიგის შედგენის პროცესი, რათა საბჭოს რეკომენდაციები აქტუალური და ეფექტური იყოს. პრემიერ-მინისტრის აპარატთან და საბჭოს წევრებთან თანამშრომლობის საფუძველზე ინვესტორთა საბჭოს სხდომის დღის წესრიგისთვის სამდივნო შეიმუშავებს კონკრეტული და მიზნობრივი საკითხების შეზღუდულ ჩამონათვალს მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად.

ინვესტორთა საბჭოს სხდომების დღის წესრიგი წევრებს და მოწვეულ მონაწილეებს სულ მცირე ერთი კვირით ადრე ეცნობებათ.

ინვესტორთა საბჭოს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება მოსთხოვოს სამდივნოს ტექნიკური შეხვედრების ჩატარება, რომლებიც აქცენტირებული იქნება ინვესტორთა საბჭოს სხდომებისთვის დღის წესრიგის მომზადებაზე ან სახელმწიფო დაწესებულებების მხარდაჭერაზე საბჭოს გადაწყვეტილებების ნაყოფიერი განხორციელების სფეროში.

ყოველი ტექნიკური შეხვედრა აქცენტირებული უნდა იყოს კონკრეტულ საკითხზე ინვესტორთა საბჭოს გადაწყვეტილების ან ინიციატივის საფუძველზე. ხსენებული შეხვედრები მიზნად უნდა ისახავდეს ნათლად გამოკვეთილი რეკომენდაციების შემუშავებას და რეფორმების პროცესში წისვლის მიღწევას. ტექნიკურ შეხვედრებში მონაწილეობას უნდა იღებდნენ დარგის სპეციალისტები და ექსპერტები სახელმწიფო უწყებებიდან, ბიზნეს ასოციაციებიდან და კონკრეტულ სფეროში მოქმედი დონორი ორგანიზაციებიდან.

IV. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე მემორანდუმში ასახულია მხარეთა მოსაზრებები და განზრახვა არა-ექსკლუზიური წესით თანამშრომლობაზე, რაც გამოხატული იქნება კეთილ ნებით და რომელიმე მხარისადმი რაიმე იურიდიული ვალდებულების დაწესების გარეშე. არც რომელიმე მესამე მხარე მიიღებს რაიმე იურიდიულ სარგებელს წინამდებარე მემორანდუმიდან.

გაცნობიერებული და შეთანხმებულია, რომ წინამდებარე მემორანდუმის

არცერთი დათქმა მიუთითებს ან გაგებული უნდა იყოს რომელიმე მხარის შეთავაზებად, დაპირებად ან ვალდებულებად წინამდებარე მემორანდუმში ან მის შესაბამისად გამოვლენილი რომელიმე ან ყველა ქმედების ან პროექტის დაფინანსებაზე.

წინამდებარე მემორანდუმში არაფერი ზღუდავს მხარეების უფლებებს და არც აღკვეთს მათ სხვა მხარეებთან მემორანდუმების ან გარიგებების გაფორმებისგან წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების, პროექტის ან სფეროში თანამშრომლობის სფეროებთან დაკავშირებით.

წინამდებარე მემორანდუმში არაფერი გულისხმობს რაიმე სახის პრივილეგიის, იმუნიტეტისა და შეღავათების მოხსნას, გაუქმებას ან სხვა სახის სახეცვლილებას, რომლებიც მინიჭებული აქვს ევრობანკს მისი სადამფუძნებლო შეთანხმების ფარგლებში, საერთაშორისო კონვენციებით ან რომელიმე შესატყვისი კანონით.

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმისგან გამომდინარე ან მის რომელიმე დათქმის ინტერპრეტაციასა ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა მოგვარდება კონსულტაციების გზით მიღწეული ურთიერთშეთანხმებით.

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შევა მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან. მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც წერილობით უნდა იყოს გაფორმებული. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის ყოველ ცალკეულ მხარეს აქვს უფლება ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მისი მოქმედება მეორე მხარისადმი მინიმუმ ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს ხელი ეწერება თბილისში, 2015 წლის 12 მაისს ორ ორიგინალ ეგზემპლარად ინგლისურ ენაზე და ასევე ორ ორიგინალ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ტექსტში შეუსაბამობების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენაზე შესრულებულ ვარიანტს.

საქართველოს მთავრობა	**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი**